

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის – პორტუგალიური ენისა და კულტურის
ცენტრის დებულება**

(№41/2018,12.02.2018)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) პორტუგალიური ენისა და კულტურის ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს პორტუგალიური ენისა და კულტურის სფეროში ცოდნის გავრცელების შესაძლებლობას. (№41/2018,12.02.2018)
2. ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის ერთიანი სახაზინო ანგარიშით, ბლანკით უნივერსიტეტის გერბით, რომლის გამოყენება ხდება ცენტრის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით. (12.11.2018, №219/2018)
3. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და კომპეტენციები

1. ცენტრის მიზნებია:
 - ა) უნივერსიტეტში პორტუგალიური ენისა და კულტურის პოპულარიზაცია;
 - ბ) პორტუგალიური ენისა და კულტურის შესწავლის მიზნით უნივერსიტეტში სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელება;
 - გ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მასწავლებლების, მკვლევარებისა და სტუდენტებისათვის სამეცნიერო და პედაგოგიური მიმართულებით ტრენინგების უზრუნველყოფა;
 - გ) პორტუგალიური ენისა და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით ღონისძიებებისა და სხვა აქტივობების ორგანიზება;
 - დ) უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, მასწავლებლების, მეცნიერებისა და სტუდენტებისათვის პორტუგალიაში სტაჟირების, გამოქვეყნების ინსტიტუტის მიერ

მათთვის გამოყოფილი სტიპენდიების მიღებისა და სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობის ხელშეწყობა.

2. ცენტრის კომპეტენციები:

ა) განავითაროს პორტუგალიური ენისა და კულტურის სწავლება და სწავლების სატრატეგიების დანერგვა;

ბ) შეიმუშაოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს პროგრამებს, რომლის საშუალებითაც პორტუგალიური ენის მასწავლებლები და სტუდენტები მიიღებენ ცოდნასა და გამოცდილებას.

ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ისეთი პირობების შექმნას, რომელიც სტუდენტს დაეხმარება სწავლაში.

ვ) ხელი შეუწყოს თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობას პორტუგალიური ენის შესწავლის მიმართულებით.

მუხლი 3. ცენტრის ხელმძღვანელობა და სტრუქტურა

1. ცენტრის მუშაობას კოორდინირებას უწევს ცენტრის ხელმძღვანელი, რომელიც ინიშნება უნივერსიტეტის რექტორის მიერ, პორტუგალიური მხარის წარდგინებით.

2. ცენტრის ხელმძღვანელი კოორდინირებას უწევს ცენტრის საორგანიზაციო და სამეცნიერო საქმიანობას, ცენტრის მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროექტებს/პროგრამებს, ხელს უწყობს სამეცნიერო კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და პორტუგალიის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა სახის ორგანიზაციებთან, პასუხისმგებელია ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობისა და გაწეული ხარჯების თაობაზე ანგარიშის რეგულარულად მომზადებასა და წარდგენაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის.

3. ცენტრის ყოველდღიურ, მიმდინარე საქმიანობას კურირებს ცენტრის ადმინისტრატორი, რომელსაც ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით ნიშნავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. (№41/2018,12.02.2018)

4. ცენტრის ხელმძღვანელს ჰყავს ასისტენტი. ასისტენტის კანდიდატურას იწონებს ცენტრის ხელმძღვანელი, რის შემდგომაც ცენტრის ხელმძღვანელის ასისტენტთან შრომით ხელშეკრულებას დებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

5. ცენტრის სხვა შესაძლო პერსონალი სამსახურში მოიწვევა შრომით სახელშეკრულებო საფუძვლებზე, ცენტრის დირექტორის წარდგინებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ.
6. ცენტრის ხელმძღვანელის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს რექტორის თანხმობით ასრულებს ადმინისტრატორი.
6. ცენტრის მიერ განხორციელებულ პროექტებში/პროგრამებში შეიძლება მონაწილეობდეს: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი, სტუდენტი, ასევე, კონკრეტული პროექტის განსახორციელებლად მოწვეული სპეციალისტი.

მუხლი 4. ინსტიტუტის ქონება და დაფინანსება

1. თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.
2. ცენტრის დაფინანსების წყაროებია:
 - ა) უნივერსიტეტის მიერ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტის საფუძველზე განსაზღვრული დაფინანსება;
 - ბ) კამოეშის ინსტიტუტის მიერ გამოყოფილი სახსრები;
 - გ) სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან მიღებული შემოსავლები;
 - დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემოსავლები.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დაგენილი წესით.